



სს „დარიალი ენერჯი“

*დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და
ექსპლუატაციის პროექტი*

*გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა,
დარიალის ჰიდროელექტროსადგური*

თბილისი
2014 წელი

სს “დარიალი ენერჯი”, “სპონსორი” გეგმავს 108 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის (დარიალის ჰესი, “პროექტი”) მშენებლობას და ექსპლუატაციას მდინარე თერგზე, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) განიხილავს დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებას დარიალთან პროექტის დაფინანსების მიზნით.

საპროექტო გადაწყვეტების მიხედვით ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპისაა, რეგულირების გარეშე, ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე. საპროექტო ჰესი-ს ნაგებობების შემადგენლობაში შევა:

- წყალმიმღები;
- სალექარი;
- სადერივაციო მილსადენი;
- გვირაბის შესასვლელი პორტალი უქმი წყალსაგდებით;
- სადერივაციო გვირაბი;
- გამათანაბრებელი გვირაბი;
- მიწისქვეშა სადაწნეო შახტი;
- ჰესის მიწისქვეშა შენობა;
- გამყვანი გვირაბი;
- შესასვლელი გვირაბი და
- ღია ქვესადგური.

დარიალი ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალი 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოს და რუსეთის ენერგოსისტემებს (დაბა სტეფანწმინდა – ქ. ვლადიკავკაზი). ახალი 220 ან 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, იგი გამოყენებული იქნება დარიალი ჰესიდან ელექტროენერჯის გადაცემისთვის.

წყალმიმღები ნაგებობები მოიცავს დაბალ ზღურბლიან კაშხალს, გვერდითი წყალმიმღებს და მიმყვან არხს, რომელიც უერთდება პერიოდული რეცხვის სალექარს.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დაახლოებით 6 მ სიმაღლის ქვანაყარი კაშხლის მოწყობა. კაშხლის სიმაღლის და კონსტრუქციის გათვალისწინებით წყალუხვობის დროს ქვედა ბიეფში თავისუფლად გადაედინება ჭარბი წყალი და მყარი ნატანის მთლიანი რაოდენობა.

წყალმიმღებიდან წყალი გადავა სალექარში. სალექარის მოწყობა დაგეგმილია წყალმიმღებიდან 326 მ-ის დაცილებით, მდ. თერგის მარჯვენა ფერდობზე. სალექარამდე წყლის ტრანსპორტირებისათვის მოეწყობა 4 მ-ის დიამეტრის ლითონის სადერივაციო მილსადენი. დაპროექტებული სამ სექციიანი სალექარი, რომელიც უზრუნველყოფს წყალში შეწონილი 0,2 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მყარი ნაწილაკები დაჭერას.

საღეჭარი გადავა სადერივაციო მილსადენში. მილსადენი განთავსდება მიწის ქვეშ და ზედაპირზე ჩატარდება სარეკულტივაციო სამუშაოები. გვირაბთან შეერთების ადგილას მოეწყობა უქმი წყალსაგდები.

სადერივაციო გვირაბის გაყვანა იგეგმება ფირმა „რობინსი“-ს გვირაბგამყვანი მანქანის საშუალებით. სადერივაციო გვირაბის დიამეტრი იქნება 5.5. მ., ხოლო სიგრძე - 5040 მ. გვირაბის ზედა დინების პორტალი განთავსდება 1705 მ ნიშნულზე, ხოლო ქვედა დინების პორტალი - 1361 მ ნიშნულზე.

გამათანაბრებელი შახტის ბოლოში მოეწყობა ვერტიკალური სადაწნეო შახტა. შახტის ჰორიზონტალური უბანი გადადის სატურბინო მილსადენებში, უბანზე ასევე განთავსდება დისკური საკეტების სათავსო. ძალური კვანძის შემადგენლობაში გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰესის შენობა, საკაბელო გვირაბი, შესასვლელი გვირაბი, გამყვანი გვირაბი და გამყვანი არხი და ღია ქვესადგური.

პროექტის მიხედვით, ჰესის შენობა განთავსდება მიწისქვეშ - ხელოვნურ გამოქვაბულში. აქ დამონტაჟდება ხიდური ამწე, სამი ჰიდროაგრეგატი მართვის მოწყობილობით და დამხმარე ელექტრო მოწყობილობები. პროექტით ასევე გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰესი-ს ვენტოლაციის საკითხი.

გვირაბის გამოსასვლელთან ახლოს, მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე, მოეწყობა 110/10 კვ-იანი ღია ქვესადგური. ქვესადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 3 ერთეული ძალოვანი ტრანსფორმატორის დამონტაჟება.


ცხრილში წარმოდგენილია დარიალი ჰესის ძირითადი საპროექტო მონაცემები:

ზედა ბიეფის ნიშნული	მ	▽1725
ქვედა ბიეფის ნიშნული	მ	▽1333
ჰესის საანგარიშო წყლის ხარჯი	მ ³ /წმ	33.0
საანგარიშო დაწნევა (ნეტო)	მ	370-380
ჰესის დადგმული სიმძლავრე	მგვტ	108.0
გამომუშავება უზრუნველყოფისთვის	50% მლნ. კვტ/სთ	510.0

ნახაზი 2.1. დარიალი ჰესის კომუნიკაციების განთავსების სიტუაციური სქემა



ნახაზი 2.2. სადერივაციო სისტემის ქრილი



დარიალმა მოამზადა და გამოაქვეყნა გარემოზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასება (ESIA). აღნიშნულ გარემოზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასებაში აღწერილია პროექტი და ბუნებრივი და ადამიანური რესურსები (რომლებზეც შესაძლოა ზემოქმედება მოხდეს), და შეფასებულია პოტენციური ზემოქმედებები, რომელიც შესაძლოა პროექტმა მოახდინოს აღნიშნულ რესურსებზე. გარემოზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასებაში ასევე აღწერილია მოქმედებების სერია, რომელთა განხორციელება საჭიროა პოტენციური ზემოქმედებების პრევენციის, კონტროლის ან სხვაგვარად პოტენციური ზემოქმედებების შერბილების მიზნით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და გამსესხებლის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

აღნიშნული მოთხოვნები აღწერილია გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში (ESAP). გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში, შეტანილი იქნება დარიალის დაფინანსების ხელშეკრულებებში, რომელიც გაფორმდა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან. ზემოხსენებული ქმედებების განხორციელების შესახებ ანგარიში დარიალმა უნდა წარუდგინოს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს და უნდა შემოწმდეს აუდიტურად ან სხვაგვარად შეფასდეს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს.

აღნიშნული ქმედებების განხორციელებაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება დარიალს. მაშინ როდესაც სხვა კომპანიები ასრულებენ სამუშაოს კონტრაქტის შესაბამისად, დარიალი პასუხისმგებელი იქნება მათ ESAP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, იმ შემთხვევაშიც, თუ სამუშაოზე პირდაპირი ზედამხედველობა ეკისრება კონტრაქტორს. აღნიშნული სავარაუდოდ განხორციელდება მოთხოვნების კონტრაქტებში და ქვე-კონტრაქტებში შეტანით და დარიალის და/ან მისი ზედამხედველი კონტრაქტორის პირდაპირი ზედამხედველობით.

როგორც შეთანხმებულია დარიალსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) შესაძლოა პროექტის განხორციელების დროს პერიოდულად გადაიხედოს. არცერთმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს კანონის ან ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ეკოლოგიურ და სოციალურ ეფექტურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა, რომლებიც მითითებულია EBRD-ის ეკოლოგიურ და სოციალურ (E&S) პოლიტიკაში (2008) და შესსაბამის პროექტის განხორციელების მოთხოვნებში.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრიგი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
განხორციელების მოთხოვნა 1: ეკოლოგიური და სოციალური შეფასება და მართვა				
1.1	ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მენეჯერის დანიშვნა დარიალი ენერჯის სათაო ოფისში, ეკოლოგიური და სოციალური გარემოს მართვაზე, ESAP-ის განხორციელებაზე და გამსესხებლებთან კონტაქტის დამყარებაზე პასუხისმგებლობის აღების მიზნით.	EBRD PR1	2014 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს	შესაბამისად კვალიფიციური და გამოცდილი EHS (გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა) მენეჯერის და დაინტერესებულ პირთა კავშირის ოფიცერის დანიშვნა.
1.2	გამსესხებლებისთვის ანგარიშის წარდგენა ESAP-ის თითოეული მოთხოვნის მდგომარეობაზე და განხორციელების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.	EBRD PRs	<ul style="list-style-type: none"> - წლიურად მშენებლობის და ექსპლუატაციის განმავლობაში - წლიურად საქმიანობის დროს 	ანგარიშების წარდგენა იმ ფორმატში, რომელიც უნდა შეთანხმდეს EBRD-თან.
1.3	ინტეგრირებული ESHS მართვის სისტემის განვითარება და დანერგვა, ISO14001 და OHSAS18001 სტანდარტების შესაბამისად, სერტიფიკაცია რეკომენდებულია, მაგრამ არ არის მოთხოვნილი.	EBRD PR1 საუკეთესო პრაქტიკა ISO14001 OHSAS18001	სამშენებლო სამუშაოების მომდევნო ეტაპის დაწყებამდე (სათაუო ნაგებობა, შემოვლითი არხი, სალექარი და	<ul style="list-style-type: none"> - დასრულებული ESHS ყველა ასპექტთან ერთად. - გამსესხებლის ნებართვა მონიტორინგის პროგრამასთან

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>მართვის სისტემა მოიცავს კონტრაქტორის მართვის გეგმას და უნდა განხორციელდეს ობიექტის დონეზე, პროექტის ყველა მონაწილისათვის და სამუშაოსთვის.</p> <p>დღემდე შემუშავებული და ESIA-ში მოთხოვნილი გარემოს და სოციალური მართვის გეგმები (ESMP) უნდა იყოს ჯვარედინად მითითებული და ESMS შესაბამისი.</p>		ა.შ.).	<p>დაკავშირებით.</p> <ul style="list-style-type: none"> - გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი და მისი შედეგების შერბილება.
1.4	ყველა საჭირო ნებართვის და უფლების შესაბამისობა.	საქართველ ოს კანონი EBRD PRs	ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე რომელიც მოითხოვს ნებართვას ან უფლებას.	<ul style="list-style-type: none"> - მიღებული ნებართვები და უფლებები. - შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენილი ანგარიშები, მოთხოვნის შესაბამისად.
1.5	<p>შეუსრულებელი მართვის გეგმების შემუშავება და არსებული და ახალი ESMP-ს განხორციელება, ESIA-ს და დამატებითი ანგარიშების შესაბამისად, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • OHS მართვის გეგმა. • ნიადაგის და ეროზიის მართვის გეგმა. • მიწისა და წყლის ბიომრავალფეროვნების 	EBRD PRs 1-10 საუკეთესო პრაქტიკა	შემუშავება და განხორციელება 2014 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს და სამშენებლო და საექსპლუატაციო პერიოდში.	<ul style="list-style-type: none"> - ESMP და ყველა განხორციელებული გეგმა. - თავიდან აცილებული, შემცირებული, შერბილებული ან კომპენსირებული ESHS ზემოქმედებები.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>მართვის გეგმები.</p> <ul style="list-style-type: none"> • წყლის ხარისხის მართვის გეგმა. • დაინტერესებულ პირებთან ურთიერთქმედების გეგმა. • სოციალური მართვის და მონიტორინგის გეგმა. • შემთხვევითი აღმოჩენების მართვის გეგმა. • კულტურული საკუთრების მართვის გეგმა. 			
1.6	<p>მოთხოვნა ყველა კონტრაქტორის მიმართ წარადგინონ CESMP (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შედგენა) დარიალი ენერჯის სათაო ოფისის OHS გეგმის შესაბამისად, რომელიც დეტალურად აღწერილია ქვემოთ. კონტრაქტორის გეგმაში აღწერილ უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ დაგეგმილი ყველა ღონისძიება ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების შემცირების მიზნით, მათ შორის და არა მხოლოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • თხევადი და მყარი ნარჩენების მოცილება და გადამუშავება. • ხმაური, ჰაერის ხარისხი და მტვრის მართვა. • ეროზიის პრევენცია და კონტროლი. • OHS რისკები და დაკავშირებული 	EBRD PRs 1-10	<p>არსებული კონტრაქტორებისთვის: 2014 წლის 1 კვარტლის განმავლობაში და სათაო ნაგებობის მშენებლობამდე.</p> <p>ახალი კონტრაქტორებისთვის: კონტრაქტორის ტენდერის/შესყიდვის შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> - - CESMP ადგილზე ყველა კონტრაქტორისთვის. - - CESMP განხილული და დამტკიცებული დარიალი ენერჯის სათაო ოფისის მიერ. - - CESMP განხორციელება, გაკონტროლებული დარიალი ენერჯის სათაო ოფისის მიერ.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>უსაფრთხოების წესები.</p> <ul style="list-style-type: none"> • PPE-დაცვის ინდივიდუალური საშაულება • საგანგებო სიტუაციებში რეაგირება. • OHS და E&S ტრენინგი. 			
1.7	<p>მაქსიმალური ძალისხმევების გამოყენება და ზემოქმედების მოხდენა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA ახალ 220/500 კვ გადამცემ ხაზთან დაკავშირებით დასრულებულია EBRD განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად და რომ შემარბილებელი ზომები სრულად განხორციელდა.</p>	საუკეთესო პრაქტიკა.	ESIA-ს განვითარების და ხაზის მშენებლობა/ექსპლუატაციის განმავლობაში.	<ul style="list-style-type: none"> - გადამცემი ხაზი ESIA აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. - მშენებლობა და ექსპლუატაცია შეთანხმებული შემარბილებელი ზომების შესაბამისად.
განხორციელების მოთხოვნა 2: შრომის და სამუშაო პირობები				
2.1	<p>ადამიანური რესურსების პოლიტიკის და პროცედურების / სახელმძღვანელოს შემუშავება / განახლება სახელმწიფო სამართლის და EBRD მოთხოვნების სრული დაცვით, კომუნიკაციის უზრუნველყოფა და ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და სახელმძღვანელოზე წვდომა ყველა პერსონალისთვის.</p>	EBRD 2 საქართველოს კანონი	2014 წლის მე-2 კვარტალი და შემდგომი პერსონალის დაკომპლექტებამდე.	<ul style="list-style-type: none"> - ადამიანური რესურსების პოლიტიკა. - ადამიანური რესურსების სახელმძღვანელო.
2.2	1.3. და 1.5. პუნქტის შესაბამისად, OHS გეგმის შემუშავება პროექტის სხვადასხვა	EBRD PR2 საუკეთესო	შეძლებისდაგვარად მოკლე დროში და	- OHS გეგმა, შემდგომში შემუშავებული,

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	კომპონენტების შესაბამისად და იმის უზრუნველყოფა, რომ მათში მითითებული პროცედურები და HSE სახელმძღვანელოები წარმოადგენს ადგილზე ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის ინტეგრალურ ნაწილს.	პრაქტიკა OHSAS18001	არაუგვიანეს მშენებლობის მომდევნო ფაზამდე.	მიღებული და განხორციელებული. - მოცდენილი დროის ინციდენტების და უბედური შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა.
2.3	შრომითი საჩივრების წარდგენის მექანიზმების შემუშავება, ხელმისაწვდომი დარიალის და კონტრაქტორის ყველა მუშაკისთვის.	EBRD PR2	შემუშავება და განხორციელება 2014 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს და მშენებლობის და ექსპლუატაციის განმავლობაში.	- განხორციელებული გეგმა, ხელმისაწვდომი მექანიზმები. - ყველა საჩივრის დროული გადაწყვეტა.
2.4	საცხოვრებელის პერიოდული განხილვა IFC/EBRD მუშახელის საცხოვრებელთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მიმართებაში და სადაც საჭიროა რეკონსტრუქციის გეგმის შემუშავება.	EBRD PR2 საუკეთესო პრაქტიკა სახელმძღვა ნელო მითითებები	წლიურად	- წლიური შემოწმების ანგარიშები. - გეგმების გაუმჯობესება საჭიროების შემთხვევაში.
განხორციელების მოთხოვნა 3: დაბინძურების პრევენცია და მასთან ბრძოლა				
3.1	ადგილზე, ყველა კონტრაქტორთან თანამშრომლობით და 1.5 პუნქტის შესაბამისად, ყველა რეგულაციური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება დაბინძურების პრევენციასთან და მასთან	EBRD PR3 საუკეთესო პრაქტიკა	შემუშავება და განხორციელება 2014 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს და მშენებლობის და	- ადგილზე მისაღები ხარისხის მართვის გეგმები. - აუდიტების მონიტორინგი იმის დასამტკიცებლად,

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>ბრძოლასთან დაკავშირებით, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის და ეროზიის მართვის გეგმა • დაღვრის გათვალისწინება და დაღვრის ლიკვიდაციის მართვის გეგმები. • საშიში და არასაშიში ნივთიერებების მართვის გეგმები. • ჰაერში გამონაბოლქვების (მათ შორის მტვრის) მართვის გეგმები. <p>ზემოხსენებული გეგმების განხორციელება, მეთვალყურეობა და მონიტორინგი ობიექტის ყველა საქმიანობასთან, მათ შორის კონტრაქტორების მიერ განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.</p>		ექსპლუატაციის განმაელობაში.	რომ გეგმები ხორციელდება.
3.2	<p>ადგილობრივ ორგანოებში ჩართულობა სპეციალური გადაწყვეტების დადგენის მიზნით, ობიექტზე არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცილების და დამუშავების მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე ან სხვა შესაფერის ადგილზე და საყოფაცხოვრებო ნაგვის გადაყრის შეჩერების მიზნით სათავო ნაგებობის სამშენებლო ობიექტის ფარგლებში.</p>	EBRD PR3 საქართველ ოს კანონი საუკეთესო პრაქტიკა	სათავო ნაგებობის ზონაში მშენებლობის დაწყებამდე.	<ul style="list-style-type: none"> - დადგენილი გადაწყვეტები და განსაზღვრული ალტერნატიული ნაგვის მოცილების ადგილი. - ჩართული ორგანოები.
3.3	გეგმის შემუშავება და არაოფიციალური	EBRD PR3	სათავო ნაგებობის	- გაწმენდილი ზონის

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათავო ნაგებობის ზონაში გადაყრის ადგილის გაწმენდა და მოგროვებული ნარჩენების შესაბამისი მოცილება ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე.	საქართველოს კანონი საუკეთესო პრაქტიკა	ზონაში მშენებლობის დაწყებამდე.	დადასტურება.
3.4	მიწისზედა წყლების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გეგმური აუდიტის განხორციელება და გეგმის შემუშავება, რათა არ მოხდეს დაუმუშავებელი ნაცრისფერი / შავი, სელიმენტების, საწვავის და/ან სამშენებლო წყლების მდინარე თერგში უკონტროლო გადაშვება.	EBRD PR3 საქართველოს კანონი საუკეთესო პრაქტიკა	აუდიტის განხორციელება 2014 წლის მე-2 კვარტლისთვის და შემდგომი განხორციელებისთვის გეგმის შემუშავება.	<ul style="list-style-type: none"> - აუდიტი 2014 წლის მე-2 კვარტლისთვის - სამოქმედო გეგმა 2014 წლის მე-2 კვარტლისთვის. - ყველა ქმედების დასრულება 2014 წლის მე-3 კვარტლისთვის.
განხორციელების მოთხოვნა 4: მოსახლეობის ჯანდაცვა, უსაფრთხოება და დაცვა.				
4.1	რისკების დადგენა და შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პროექტის მშენებლობის და განხორციელების შედეგად, პროპორციული პრევენციული ზომების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირების და კომუნიკაციის გეგმის შემუშავება და განხორციელება.	EBRD PR4	პოტენციური რისკების წარმოშობამდე	<ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის შეფასება პროექტის ყველა ეტაპზე. - შემუშავებული და განხორციელებული შემარბილებელი / პრევენციის ზომები. - ESMP მონიტორინგი და ანგარიშგება.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
4.2	ქცევის კოდექსის შემუშავება და შესრულება და ცვის პერსონალისთვის და მომუშავეთა ქცევის კოდექსის შემუშავება და შესრულება, მათ შორის ურთიერთკავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან.	EBRD PR4 საუკეთესო პრაქტიკა UN ნებაყოფლო ბითი პრინციპები	მშენებლობის მომდევნო ფაზის დაწყებამდე.	- შემუშავებული და მიღებული ქცევის კოდექსი.
განხორციელების მოთხოვნა 5				
5.1	ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, რათა შეფასდეს დონე, რომლის მიხედვით მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე არსებული მიწა, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დროებით შეზღუდულ წვდომას, გამოიყენება მოსავლისთვის, საფურაჟედ და საძოვრად და მისი გამოყენების ფარგლები, როგორც შემოსავლის წყარო.	EBRD PR5	- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, სათავო ნაგებობის და არხის და სალექარის მშენებლობასთან დაკავშირებით.	- დაინტერესებულ პირთა ჩართულობა
5.2	დამატებითი ჩართულობის შედეგიდან და კვლევიდან გამომდინარე (5.1. პუნქტში) მეთოდების შემუშავება და წვდომის დროებითი დაკარგვის მინიმუმამდე დაყვანა და სრული წვდომის უზრუნველყოფა (და უსაფრთხოება და ცვა) მშენებლობის დასრულების შემდეგ.		- ზემოაღნიშნულის შესაბამისად	- ზემოაღნიშნულის შესაბამისად.
განხორციელების მოთხოვნა 6				
6.1	ნაკადის მონიტორინგის სადგურების განმეორებით განსაზღვრა საპროექტო ზონის	EBRD PR6	- 2014 წლის 1-ელი კვარტალი.	- ფუნქციონირება, რეალურ დროში ნაკადის

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	ზედა ბიუჯე და ზონაში უწყვეტი მონიტორინგისთვის, რომელიც საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.			მონიტორინგის სადგური. . - ნაკადის მონაცემები ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის კომპანიის ვებ-გვერდზე.
6.2	<p>ექსპერტის რეკომენდაციების შესრულება მდინარის ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მინიმალური ეკოლოგიური ნაკადების შენარჩუნება, გამოთვლილი ექსპლუატაციამდე. • ბადეების დამონტაჟება, თევზის სადაწნეო მილსადენის/ტურბინების შესასვლელთან დაჭერის პრევენციისთვის. • შემდგომი ბიომრავალფეროვნების კვლევის განხორციელება დღემდე მოპოვებული მონაცემების საწყისის დასადასტურებლად და მდინარის ბიომრავალფეროვნების სენსიტიურობა. • დეტალური გეომორფოლოგიური მონიტორინგის განხორციელება (ორიენტირებული არხის უწყვეტობაზე). 	EBRD PR6	- დაწყება დაუყოვნებლივ და განხორციელება პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში.	- მესამე მხარის დადასტურება, რომ შემარბილებელი ზომები და ადაპტირებადი მართვის გეგმები ეფექტურია.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>სუფთა ნატანის გამოყოფაზე გეომორფოლოგიური პასუხი შეცვლილ რეჟიმსა და გაყინვის დონეზე) ადაპტური მართვისა და ეკოლოგიური მონიტორინგის ინფორმირებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • ადაპტიური მართვის გეგმის შემუშავება, მათ შორის მინიმალური ეკოლოგიური ნაკადის პირობების განმეორებით გამოთვლა. • მონიტორინგის პროგრამის მიღება ადაპტიური მართვის გეგმის ეფექტურობის დადგენის მიზნით. • გეგმის შემუშავება ლარსის ჰიდროელექტროსადგურის ოპერატორთან ერთად აღნიშნული ორი ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების განხილვის მიზნით, ორივე ობიექტზე თევზსავალების / გასასვლელების ეფექტურობის და კუმულაციის მიხედვით. 			
6.3	<p>ექსპერტის რეკომენდაციების შესრულება ხმელეთის ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით .</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ სენსიტიური ზონების რუკის შედგენა და 	EBRD PR6	- დაწყება დაუყოვნებლივ და განხორციელება პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში.	- მესამე მხარის დადასტურება, რომ შემარბილებელი ზომები და მართვის გეგმები ეფექტურია.

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
	<p>გამოსახვა, რომლებიც ჩაითვლება “აკრძალულ ზონებად” მშენებლობასთან დაკავშირებული მოძრაობისთვის.</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შემუშავება ექსპერტის დასკვნის მონაცემების საფუძველზე. • მონიტორინგის გეგმის შემუშავება, რომელიც მიღებულ უნდა იქნას მშენებლობის დროს და მშენებლობის შემდეგ. 			
6.4	<p>EBRD-თან, ეროვნული პარკების ორგანოებთან და გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით სათავე ნაგებობების სიახლოვეს ტყის აღდგენის სქემის განხორციელების შესაძლებლობის განხილვა, შემდეგი მიზნებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • დახრილობის სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელება. • ნეიტრალურ დონეზე ნახშირბადის ემისიის პროექტის შემუშავება. • ეროვნული პარკის ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების რეაბილიტაცია. • ადგილობრივი დასაქმების უზრუნველყოფა. 	EBRD PR6 საუკეთესო პრაქტიკა	<ul style="list-style-type: none"> - საქმიანობა 2014 წლის მე-3 კვარტლისთვის. - სტრატეგიის და გეგმის შემუშავება 2014 წლის ბოლოსთვის. 	- ტყის აღდგენის გეგმის შემუშავება
განხორციელების მოთხოვნა 8				

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრივი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
8.1	<p>დამატებითი კვლევის წარმოება კულტურული მემკვიდრეობის ზონების არსებობის განსაზღვრის მიზნით, მდინარე თერგთან დაკავშირებით, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტის განვითარების და ექსპლუატაციის პროცესში.</p> <p>შემარბილებელი გეგმის შემუშავება, მათ შორის ვიზუალური ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში.</p>	EBRD PR8	<ul style="list-style-type: none"> - ზონის კვლევა: ზონის დარღვევამდე და შემცირებულ ნაკადის რეკიმამდე. - კონსულტაცია მოსახლეობასთან და პროექტის დაინტერესებულ პირებთან ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით: სამუშაოების დაწყებამდე და ექსპლუატაციამდე. 	<ul style="list-style-type: none"> - წარმოებული კვლევები - ჩატარებული კონსულტაციები და შეთანხმებული მოქმედებები.
8.2	<p>შემთხვევეთი აღმოჩენების პროცედურის შემუშავება, არქეოლოგიის ადგილზე ყოფნის მოთხოვნა არქეოლოგიური მონაპოვრების დასამტკიცებლად, დარიალის დანიშნული წარმომადგენლისთვის რჩევის მიცემა და შესაბამის ორგანოებთან კავშირის დამყარება.</p>	საქართველოს კანონი EBRD PR8	მშენებლობამდე	<ul style="list-style-type: none"> - შემთხვევეთი აღმოჩენების პროცედურები
განხორციელების მოთხოვნა 10				
10.1	<p>დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელება და მოსახლეობის საჩივრების წარდგენის მექანიზმების უზრუნველყოფა.</p>	EBRD PR10	<ul style="list-style-type: none"> - მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში 	<ul style="list-style-type: none"> - SEP განხორციელებული

No	მოქმედება	მოთხოვნის წყარო	განხორციელების განრიგი	წარმატებით განხორციელების გეგმა / ანგარიშგების მოთხოვნები
10.2	SEP-ის შეფასება და განახლება დაინტერესებულ პირთა ჩამონათვალის, საკომუნიკაციო მეთოდების, მედია საშუალებების და სხვ. დაზუსტების / გაუმჯობესების მიზნით.	EBRD PR10	- შეფასება და განახლება: წლიურად მშენებლობის პერიოდში, შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ.	- SEP შეფასებული და შესწორებული საჭიროების შემთხვევაში.